გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება №139

2024 წლის 13 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.50.01.407 ქონებიდან 11.39 კვ.მ ფართის და ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) ქონებიდან 15 კვ.მ ფართის, სს ,,ლიბერთი ბანკისთვის" (ს/ნ 203828304) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2024 წლის 6 ივნისს (№ 10/202415881-20) შემოსულია სს ,,ლიბერთი ბანკის" (ს/ნ 203828304) წერილი, რომელშიც ლიბერთი ბანკის სერვისების მიწოდების მიზნით (საბანკო მომსახურების სრულყოფილად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით) იჯარის ფორმით, მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. დიცში მდებარე ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან დაახლოებით 11.39 კვ.მ ფართი და სოფელ შინდისში მდებარე ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) 15 კვ.მ ფართი.

აუდიტური კომპანიის მიერ 2024 წლის 22 აგვისტოს N 269-ქ საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.50.01.407, დაზუსტებული ფართობი-2489.00 კვ.მ) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-დან (საერთო ფართი - 175.50 კვ.მ) – 11.39 კვ.მ, (მისამართი: გორის

მუნიციპალიტეტი, სოფელი დიცი), უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 8000 (რვა ათასი) ლარით.

აუდიტური კომპანიის მიერ 2024 წლის 22 აგვისტოს N 270-ქ საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.42.11.000.263, დაზუსტებული ფართობი-980.00 კვ.მ) განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-დან 15.00 კვ.მ, მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი შინდისი, უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 5300 (ხუთიათას სამასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დიცში მდებარე ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ. ფართის და სოფელ შინდისში მდებარე ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დიცში მდებარე ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ - ს და სოფელ შინდისში მდებარე ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.000.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ - ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს სს ,,ლიბერთი ბანკს'' (ს/ნ 203828304).

2. განკარგულების 1-ელ პუნქტში აღნიშნული ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ ფართის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 8000 (რვა ათასი) ლარით.

ბ) ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ ფართის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 5300 (ხუთიათას სამასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა თითოეულ უძრავ ქონებაზე განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარით (ჯამში 1200 ლარით).

4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 1 (ერთი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ დიცში მდებარე ს/კ 66.50.01.407 უძრავი ქონებიდან 11.39 კვ.მ და სოფელ შინდისში მდებარე ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.000.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ გადაეცემა მოსახლეობისთვის, ლიბერთი ბანკის სერვისების მიწოდების მიზნით (საბანკო მომსახურების სრულყოფილად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით).

6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს). იჯარის ფორმით გადაცემული ქონება გამოთავისუფლებულ იქნას ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

7. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე